F567 N3432

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

სამშობლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 7 (191)

აპრილი,

1968 წელი



ბორჯომი—ხარაკი.

საქართველოს სსრ. ცენტრალური ბიბლიოთეკა

ვაზის სასახლე

თბილისის ღვინის ქარხანა № 4 ამთავრებს თავისი არსებობის ისტორიას. მის ადგილას ელბაქიძის აღმართის დასაწყისში, მალე გაჩნდება თეთრი ქვის შენობები, რომლებიც გულგრილს ვერ დატოვებენ ვერც არქიტექტურის მოყვარულებს, ვერც სახელგანთქმული ქართული ღვინის მცოდნეებსა და დამფასებლებს.

შენობათა კომპლექსში, რომლებიც მტკვრის თავზე აღიმართება, მოთავსდება ვაზისა და ღვინის სახლი, თავისებური მუზეუმი, რომლის ექსპონატები მოგვითხრობენ ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის ღრმა ფესვებზე, სახალხო მეურნეობის ამ დარგის დღევანდელ დღეზე; მაგრამ ტრადიციული მუზეუმებისაგან განსხვავებით, ვაზისა და ღვინის სახლის ექსპონატები შეიძლება არა მარტო დავათვალიეროთ, არამედ... კიდევაც ვიგემოთ.

ამ მიზნისათვის გამოყოფილია პირველი სართული. ვრცელ დარბაზში თქვენ შემოგთავაზებენ ღვინოს ბოთლებში, დოქებში, სხვა ჭურჭლებში. დეკორაციული კასრებიდან აგივსებენ ჭიქებსა და ძველებურ ფიალებს, ყანწსა და ჭინჭილას. აქვე კიოსკში გაიყიდება სუვენირები, რომელთა თემატიკა დაკავშირებულია ვაზთან და ღვინოსთან.

...მსუბუქი კიბით ავდივართ მეორე სართულზე. აქ მოთავსებულია ორი სადეგუსტაციო დარბაზი — 100 და 200-ადგილიანი. საინტერესო ნაამბობს მზიური სასმელების კეთილშობილურ თვისებებზე, მათ ბუკეტზე, არომატზე მოისმენენ დეგუსტაციის მონაწილეები გამოცდილი მეღვინეებისაგან.

ამავე სართულზე იქნება საგამოფენო დარბაზი. ქართული მეღვინეობის ისტორია უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე გაივლის მნახველთა თვალწინ: ძველებური თიხის ქვევრებიდან ღვინის ქარხნების თანამედროვე აღჭურვილობის მაკეტამდე, უნიკალური ვაზის ფოტოსურათებიდან პანოებამდე, რომლებზეც გამოხატული იქნება ვენახები.

საუბარი ღვინისა და ვაზის შესახებ გაგრძელდება მესამე სართულზე. კინოსალექციო დარბაზის ეკრანზე გაიელვებს ქრონიკალური და მეცნიერულ - პოპულარული ფილმების კადრები. დარბაზის მეზობლად, დაჩრდილულ და კონდიციური ჰაერით უზრუნველყოფილ მყუდრო საცავში მოთავსდება ღვინოების კოლექცია. იგი აქ გადმოვა თბილისის № 1 ღვინის ქარხნიდან.

გაგრძელებულ სიბრტყე და აწვდილი კოშკი მწვანე მთის ფონზე — ასეთია პროექტის ავტორის, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის ლეონან ჯანელიძის ჩანაფიქრი. სიბრტყე სამსართულიანი შენობაა, კოშკი რაღაა? ეს არის ვიწრო ცხრასართულიანი ნაგებობა, რომელშიც მოთავსდება ათ-ადგილიანი სასტუმრო. სახურავიდან გადაიშლება მტკვრის სანაპიროს საუცხოო ხედი. სასტუმრო ვაზისა და ღვინის სახლთან დაკავშირებული იქნება შემინული საჰაერო გადასასვლელით.

შენობის ვრცელ, გვერდებიდან აწეულ რკინაბეტონის სახურავს ერთი საყრდენი აქვს. ეს კონსტრუქციული ელემენტი მოდის ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა არქიტექტურიდან, რომლებიც აშენებდნენ „დარბაზს“ ერთი საყრდენით. გარეგნულ გაფორმებასა და ინტერიერში გამოყენებულია ქართული სახვითი ხელოვნების ტრადიციები, მოდერნთან ორგანულად დაკავშირებულნი. ჭედურობა, ფრესკები, ჩუქურთმები შეხამებულია პლასტმასებთან, ქრომირებულ დეტალებთან, ძვირფასი ჯიშების ხეებთან, მარმარილოსთან. მსუბუქი ჰაეროვანი ნაგებობა აირეკლება შენობის წინ შექმნილი აუზის წყლის ზედაპირზე. ნაგებობის კომპლექსი სანაპიროს გამოეყოფა ფართო ბულვარით.

ვაზისა და ყურძნის სახლის პროექტი შეასრულა საქართველოს კვების მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა.

საქართველოს დედაქალაქი — მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი კულტურის ქვეყნის დედაქალაქი მალე მიიღებს საუცხოო საჩუქარს.

სვანეთის დიდი გზა

თოთხმეტი კილომეტრის მანძილზე გაიხსნა სვანეთის ახალი დიდი გზა, რომელიც დაბა ჯვარში იწყება და მიემართება ხაიშისაკენ — ჯერ მდინარე მაგანის, მერე მდინარე ენგურის გასწვრივ.

გზის გაყვანა წარმოებს კლდოვან უბნებზე, რაც დიდ მუშაობას მოითხოვს. უკვე მონგრეული და გადაყრილია ხუთი მილიონი კუბური მეტრი კლდექანი, ხელოვნურ ნაგებობათა ასაშენებლად ჩაწყობილია 12 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. გზის მშენებლობაზე მოხდა საქართველოში ერთერთი ყველაზე დიდი 120-ტონიანი აფეთქება, რომელმაც წულიშის მთას ჩამოჰხრა 270 ათასი კუბური მეტრი კლდე და მდინარე მაგანაზე შექმნა ხელოვნური ტბა.

გულს ახარებს

ლენტეხი. მდინარე ცხენისწყლის ორწოხებში, კავკასიონის მთების ფერდობებზეა შეფენილი სოფელი ჩოლური. აქ თვალს იტაცებს განიერი ქუჩები და გზატკეცილები, კოლმეურნეთა ორსართულიანი ოდა-სახლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ნაგებობები.

სოფლის ცენტრში არის კლუბი, ბიბლიოთეკა, სტაციონარული კინოდანადგარი, რადიოკვანძი, პურის საცხობი, სასადილო, საავადმყოფო, საექიმო და ვეტსამკურნალო უბნები, კავშირგაბმულობის განყოფილება, მაღაზიები და სხვა ობიექტები. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქცია.

ამას წინათ აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის ახალი ორსართულიანი შენობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონი, დამთავრდა სოფლის ელექტრიფიკაცია.



სამკურნალო წყაროებმა კურორტ წყალტუბოს ფართოდ გაუთქვეს სახელი. ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები აქ ყავარჯნებით ჩამოდიან, ხოლო ბრუნდებიან სრულიად განკურნებულნი და სამუდამოდ ივიწყებენ ყავარჯნებს. აქაური სამკურნალო წყაროები დადებითად მოქმედებენ ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა იშიაზი, რევმატიზმი, რადიკულიტი და სხვ.

წყალტუბოში დამსვენებელთა განკარგულებაშია 15 კეთილმოწყობილი სანატორიუმი და საბაზანო შენობა.

ამას წინათ მწყობრში ჩადგა ახალი სანატორიუმი „ივერია“. აქ ერთდროულად 250 კაცს შეუძლია დაისვენოს. გასულ წელს კურორტ წყალტუბოზე დაისვენა 120 ათასზე მეტმა ადამიანმა.

სურათზე: სანატორიუმ „ივერიის“ ახალი შენობა წყალტუბოში.

სიკვდილის დამთრგუნველი

ᲨᲕᲘᲓᲘ წლის წინათ მოსკოვში გამოიცა ზახსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმრის ᲖᲔᲔ ᲰᲐᲜᲜᲘᲡ წიგნი „ᲣᲮᲛᲝ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ“. იგი ბერლინში გამოშვებული მემუარების „№ 52.434 ტუსაღის ჩანაწერების“ თარგმანია გერმანულიდან. ვიდრე სიკვდილის ბანაკის საშინელებებს გავეცნობოდით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო მ. ტილევიჩის წინასიტყვაობამ, რომელშიც ნათქვამია: „ყოფილმა პატიმრებმა კარგად იციან მამაცი პატრიოტი მედიკების ნ. ვარნაჩევის, ბ. ტოკარჩუკის, ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲮᲐᲜᲒᲐᲨᲘᲕᲘᲚᲘᲡᲐ“ და სხვების სახელები. ქართველი ტყვედყოფილი მოვძებნე. პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიურ ლაბორატორიაში ვეწვიე. მეცნიერი მუშაკი ქალები ხელსაწყობებთან იდგნენ და საქმეში გართულიყვნენ. თეთრხალათიანი ერთადერთი მამაკაცი, ლაბორატორიის უფროსი ვახტანგ ხაჭაპურიძე მაგიდასთან იჯდა და ქაღალდებს ფურცლავდა. „უხმო შეტაკება“ გადავწიოდე და ვუთხარი:

— კეთილმა ადამიანებმა თქვენც გაგიხსენეს...

მასპინძელმა წიგნი გადაათვალიერა. თვალი მოჰკრა ჩემს მიერ მელნით ხაზგასმულ მის გვარს და დაფიქრდა. ჩანს, ამ კეთილშობილ საქმიანობაში სიკვდილის დამთრგუნველ მკურნალს ჩინებულ მოკავშირეობას უწევდა ჩაბარებული საქმის თავისებურება. დაავადების შიშით საინფექციო ბარაკს სათოფეზეც კი არ ეკარებოდა გერმანული მედპერსონალი!

ჰიტლერელები ომს აგებენ. ეს დღესავით ნათელი გახდა. მაშინ მათ გადაწყვიტეს უველაფერი ეღონათ იმისათვის, რომ გერმანიაში ახალ წყობილებას არ გაემარჯვა. ხვრეტდნენ გერმანელ კომუნისტებს, ანტიფაშისტებს და ჰიტლერელთა მხეცობის მოწმე საბჭოთა სამხედრო ტყვეებს. ვიშტოკის რაიონის ტყეში პატარ-პატარა ჯგუფებად მიჰყავდათ და წუთისოფელს ასალმებდნენ უდანაშაულო ადამიანებს. ჯალათების მხეცობის ამბავი ზახსენჰაუზენიდან ფრონტის ხაზს გადასცდა. საბჭოთა თვითმფრინავებმა სასიკვდილოდ განწირულთა 30-ათასიანი კოლონის ესესელთა ბდრაგს მრისხანე გაფრთხილების ფურცლები დააყარეს, და ტყვეების ულეტა შეწყდა.

მრავალი საბჭოთა მეომრის გადამრჩენი ვახტანგ ხაჭაპურიძე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მომავალი თაობის ჯანმრთელობას გუშაგობს და აქტიურ სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას ეწევა. ინსტიტუტის გარდა მას კარგად იცნობდნენ ბავშვთა მეოთხე საავადმყოფოში, სადაც მთავარი ექიმის მოადგილე იყო სამკურნალო დარგში. ამჯერად მივაკითხეთ ახალ საავადმყოფოში, რომელიც ელმავალმშენებელთა დასახლებაში ააგეს რამდენიმე წლის წინათ. მის ირგვლივ ხუთი და რვასართულიანი სახლების მთელი დაბა გაშენებულა. ბავშვთა მე-3 საავადმყოფოს ამწვანებული ეზოს წინ გადის ტრამვაის ლიანდაგი, რომელიც ლენინის რაიონს თბილისის ზღვას დააკავშირებს. მრავალ ადგილას მოჩანს საცხოვრებელი სახლების ხარაჩოები. ერთი სიტყვით, თბილისი იზრდება!

მოსახლეობის ზრდამ კი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის მეტი მზრუნველობა მოითხოვა. იმათ შორის, ვინც მომავალ თაობას გულმოდგინედ თავს ევლება, ვახტანგ ხაჭაპურიძეც მოგულება. მესამე სართულზე ავედი. შევაღე კარი, რომელსაც აწერია: „ბავშვთა ენდოკრინოლოგიური განყოფილების გამგე“. მაგიდას უზის თეთრხალათიანი ნაცნობი. ვიცი, ამ კაცის ხელითაც შეიქმნა ამ ტიპის პირველი საბავშვო სამკურნალო დაწესებულება ამიერკავკასიაში. მის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას ამკობს განყოფილების გამგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ვახტანგ ხაჭაპურიძეს ბევრი ექსპერიმენტული მასალა დაუგროვდა მკერდუკანა ჯირკვლის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე, და აკი საკანდიდატო დისერტაციის წერასაც შეუდგა...

ალალია მისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება, რაც შარშან მიანიჭეს! ფრონტელმა მეგობრებმაც გულწრფელად მიულოცეს შრომის ესოდენ დიდი დაფასება. მათ შორის მიულოცა დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში ნატანჯმა კოლეგამ ექთანმა ქეთევან ხომერიკმაც. ომის ვეტერან მანდილოსანს, ბუხენვალდისა და ზახსენჰაუზენის ყოფილ ტყვეებს ვახტანგი შეხვდა მოსკოვში ომის ვეტერანთა საკავშირო შეკრებაზე. ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტმა ვ. ხაჭაპურიძე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სიგელით დააჯილდოვა. 14 ზახსენჰაუზენელ ყოფილ პატიმართან ერთად ვახტანგი ეწვია მოსკოვის 187-ე საშუალო სკოლას, დაათვალიერა ზახსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებათა ამსახველი სასკოლო მუზეუმი. არ დაივიწყებდა მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში მოწყობილ ბანკეტზე შეხვედრაც. იქ ნახა მის ბედში მყოფი რამდენიმე ისეთი კაცი, რომლებიც ცოცხალი არ ეგონა. გადაეხვია, აკოცა. ჯანმრთელობა და მრავალწამიერ სიცოცხლე უსურვა...

ზაფხულში ვ. ხაჭაპურიძე ყირიმში გაემგზავრება. საბრძოლო მეგობრების მხარდამხარ ივლის თავისი დივიზიის ნაკვალევზე და ქართულ მიწას მოაბნევს სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულ თვისტომთა საფლავებს...

ი. ჯავახიშვილი.

მოგონება დაეუფლა, გასახსენებელი კი აი რა არის:

1940 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. წითელ არმიაში გაიწვიეს. ფრონტზე იომა. ერთ-ერთი ცხარე ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა და 1945 წლამდე ზახსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში იტანჯებოდა.

ზახსენჰაუზენი!... იქნებ ამ სიტყვის წაკითხვაზე შეეპმუხნა სახე და ამიტომ წამოიძახა აღელვებულმა:

— ზახსენჰაუზენი და სიკვდილი სინონიმები არიან!

თითქოსდა ამის დასამტკიცებლად ციფრი 100.000 მოიშველია. გერმანელებმა, — დასძინა ლაბორატორიის უფროსმა, — აწამეს, მოკლეს და ზახსენჰაუზენის კრემატორიუმში დაწვეს 100.000-მდე კაცი. მის ჯურღმულებში იტანჯებოდნენ გერმანელი პოლიტიკური პატიმრები და 19 ეროვნების ანტიფაშისტი სამხედრო ტყვეები, რომლებიც ჰიტლერელებს განსაკუთრებით საშიშ მტრებად მიაჩნდათ.

მათ აწამებდნენ, მაგრამ ფაშიზმის წინააღმდეგ სიძულვილით გამსჭვალული ადამიანები მაინც არ ცხრებოდნენ, მუხლს როდი იდრეკდნენ მიხაკისფერი ჭირის წინაშე. ბანაკის ინტერნაციონალური კომიტეტი ფარულ ომს აწარმოებდა ესესელებისა და საავიაციო ქარხანა „ჰაინკელის“ ადმინისტრაციის წინააღმდეგ. საბჭოთა პატრიოტები საბოტაჟს მიმართავდნენ. აფუჭებდნენ მოწყობილობას, ტოვებდნენ სამუშაოს, ყველა შეუმჩნეველი საშუალებით აფერხებდნენ თვითმფრინავების გამოშვებას. უხილავი ფრონტის მეომრები საამოროები მიხეილ რუბინსკი და ანდრია კოვშოვი, ახალგაზრდა მინსკელი ოფიცრები მიშა და ვასილ ბელოუსოვები, სამხედრო ექიმი თბილისიდან ვახტანგ ხაჭაპურიძე“. ეს უკანასკნელი 74.727 დამღანომრით დიდ გულთბილობას იჩენდა ავადმყოფებისა თუ დაჭრილი ტყვე-პატიმრების მიმართ. ბლოკებში მისი ხშირად ყოფნა ავადმყოფებს მეტად ახარებდა, რადგან იცოდნენ: ხაჭაპურიძე არასოდეს ხელცარიელი არ მივიდოდა ლოგინსმიჯაჭვულ ადამიანებთან. ეს იყო არა მარტო მკურნალის ჩვეულებრივი ზრუნვის გამოხატულება, არამედ მნიშვნელოვანი და საგანგებო ვიზიტიც. ქართველ ექიმს ყოველდღე მოაქვს არალეგალური ცენტრის ერთ-ერთი წევრის მიერ მოსკოვიდან რადიოთი მიღებული, რუსულად გადათარგმნილი და სიფრიფანა ქაღალდზე დაბეჭდილი ახალი ამბები. წაიკითხავდა, გაიზეპირებდა და ბანაკში ავრცელებდა სიმართლეს საბჭოთა არმიის ძლევამოსილებაზე. საბჭოთა ფარული ცენტრის ავტორიტეტი კიდევ უფრო განმტკიცდა, — განაგრძობს გენერალი, — როცა ვახტანგ ხაჭაპურიძის ლაზარეთში გადმოყვანა მოხერხდა, იქ მან კავშირი დაამყარა რუს იატაკქვეშელებთან ბორის ტოკარჩუკსა და ივანე ლიტვინოვთან. რამდენადმე გაჩნდა იმის საშუალება, რომ ლაზარეთში შეგვენახა დასუსტებულნი... შესაძლებლობა მოგვეცა ისინი სამუშაოდან გაგვეთავისუფლებინა, რის წყალობითაც სიცოცხლე შერჩა მრავალ საბჭოთა ადამიანს.

აი სამუშაოზე უნდა გაეგზავნათ დავრდომილი, გაძვალტყავებული ოფიცერი საბჭოთა კავშირის გმირი ნ. ვორონცოვი. საინფექციო ბარაკის ექიმმა ვ. ხაჭაპურიძემ დიზენტერიის დიაგნოზი დაუსვა და ვორონცოვი ამ ბარაკში მოათავსა. თვენახევარი შეინახა. მოაღონიერა. გამოჯანსაღების შემდეგ ვორონცოვი ახალი ძალით ჩაება ფარული ცენტრის საბრძოლო მუშაობაში. 50 საბჭოთა ტყვე ოფიცერთან ერთად სიკვდილის ბანაკში მიიყვანეს პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ბოროდინი. იგი დიზენტერიის სენს შეეპყრო და შრომა არ შეეძლო. ვინც არ მუშაობდა, კრემატორიუმში სწვავდნენ. „მეც ეს მომელოდა, — აღნიშნავს თავის მოგონებაში ა. ბოროდინი, — ფრანგი მკურნალის დახმარებით ვ. ხაჭაპურიძემ მოახერხა ჩემი გადაყვანა იმ ბარაკში, სადაც თვითონ მუშაობდა. ვ. ხაჭაპურიძემ თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაგდო, საბჭოთა ოფიცრის სიცოცხლე კი გადაარჩინა. იგი მარტო მე კი არა, სხვა საბჭოთა ოფიცრებსაც ეხმარებოდა“.

საშობლოს მიწა ტკბილია

ჯერ კიდევ შარშან ჩვენთან, რედაქციაში, ხშირად მოდიოდა ერთი საშუალო ტანის, ხანდაზმული მამაკაცი. თეთრი თმა საოცრად უხდებოდა მის სათნო სახეს. დინჯად და დაბეჯითებით ლაპარაკობდა. საუბარში ხშირად ახსენებდა სიტყვა „სამშობლოს“. და, მართლაც, ბრაზილიიდან შინმობრუნებული, მრავალჭირნახული ქართველის — **სიმონ ნინიკაშვილისათვის** სამშობლოზე უფრო საგულისხმო და საამაყო ცნება რა უნდა ყოფილიყო.

პატივცემული სიმონი ახლა ჩვენს შორის აღარ არის. მისი ნეშტი სამუდამოდ მიიბარა მშობლიურმა მიწამ, რომლის გაუნელებელი სიყვარულიც სწვავდა უცხოეთში 37 წლის მანძილზე.

ეს სიყვარული სიმონმა თავის შვილებსაც გადასცა, შვიდი წლის წინათ ოჯახს სამშობლოსაკენ გამოუძღვა და სამუდამოდ საქართველოში დაასახლა. უფროსი ვაჟი — **თედო** მაშინ ოცდასამი წლისა იყო, უმცროსი **დათო** კი თოთხმეტისა. სად არ ატარა ბედმა მანამდე ეს პატარა ქართული ოჯახი, რამდენი გაჭირვება და დამცირება არ ანახვა. ჯერ სპარსეთში ცხოვრობდნენ, შემდეგ ბრაზილიაში გადასახლდნენ. ბუნებრივია, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა გარემოში ცხოვრებამ თავისებური კვალი დააჩნია ძმების ფსიქოლოგიას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მრავალი მეგობარი და კეთილმოსურნე გამოუჩნდათ, რომლებმაც ხელი შეუწყეს მათ ცხოვრების უკეთ წარმართვასა და მოწყობაში.

აი რას ამბობენ ძმები — დათო და თედო ნინიკაშვილები:

დათო — მერვე წელია, რაც საქართველოში ვცხოვრობ. თავდაპირველად ჩემთვის ყოველივე უჩვეულო იყო. ნურც გაიკვირვებთ: მამაჩვენი, რაც არ უნდა იყოს საქართველოში იყო დაბადებული და გაზრდილი, ჩვენ კი, მე და ჩემს ძმას თედოს, სამშობლო თვალითაც არ გვენახა. ვერც ქართულად ვლაპარაკობდით ხეირიანად. მერე და მერე ყველაფერი გამოსწორდა. შევისწავლეთ ქართული ენა. საქართველოში 1960 წლის 7 აგვისტოს ჩამომიყვანეს, პირველ სექტემბერს კი უკვე ქართულ სკოლაში წავედი სასწავლებლად. უკვირდათ, ასე მალე როგორ ისწავლეთ ქართულიო; ჯერ ერთი, ჩვენი მშობლიური ენაა, მეორეც — ტკბილია, ტკბილი ქართული...

თედო— საქართველოში რომ დავბრუნდით, ჩემი ძმა დათო ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მე კი უკვე 23 წლისა ვიყავი. ოჯახის ამბავი თითქმის ისევე მომეკითხებოდა, როგორც მამაჩემს. უნდა დავსახლებულიყავით, მოვწყობილიყავით, რომ იტყვიან, წელში გავმართულიყავით. ბევრი კარგი ადამიანი დაგვეხმარა: ბინაც მალე მივიღეთ — სამოთახიანი, ნათელი, კეთილმოწყობილი. ავჭალის გზატკეცილზეა, ტელეფონიც დაგვიდგეს. მამას პენსია დაენიშნა, დედას არასოდეს არ უმუშავია — ყოველთვის დიასახლისი იყო. მე ჩემი პროფესიით დავიწყე მაშინ მუშაობა — ტაქსმოტორების გარაჟში რემონტიორად. ახლა კი ტაქსის შოფრად ვმუშაობ. ჭამა-სმა არ გვაკლია და ჩასაცმელ-დასახური, ტელევიზორი გვაქვს, მაცივარი გვაქვს, თეატრსა და კინოს არ ვიკლებთ, სტუმარს ყოჩაღად ვხვდებით... მაგრამ ყველაზე მთავარი კაცისათვის მაინც ის არის, რომ სამშობლოში ხარ. აქ ყველაფერი შენია, ქართული, ახლობელი: ვერავინ წამოგძახებს — გადამთიელოო...

დათო — თედოს არ უთქვამს, რომ რამდენიმე წლის მანძილზე გულმოდგინედ ეუფლებოდა ქართულ ენას. სამუშაოზე ბევრი მეგობარ-ამხანაგი ჰყავს და პატივსაც სცემენ. მუშაობს და დაუსწრებლად სწავლობს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, ახლა უკვე მესამე კურსზეა. გაისად სასწავლებელს დაამთავრებს და ტექნიკოსის სპეციალობით იმუშავებს.

მე კი ბავშვობიდანვე ხატვა და ხაზვა მეხერხებოდა. სამშობლოში ეს გატაცება კიდევ უფრო გამიღრმავდა. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, თბილისის სამხატვრო აკადემიაში შევიტანე საბუთები. გამოცდები კარგად ჩავაბარე და არქიტექტურის ფაკულტეტის პირველ კურსზე შევედი. ცოტა ხნის წინათ პირველი სემესტრის გამოცდები ჩავაბარე. დამენიშნა სტიპენდია. ჩვენთან თითქმის ყველა სტუდენტი სტიპენდიას იღებს. მამასავით მექცევიან ჩემი მასწავლებლები, ცნობილი არქიტექტორები დავით წერეთელი, ტარიელ ქუთათელაძე. გიგა ბათიაშვილი... მათგან ბევრი რამ ვისწავლე. დღის დიდ ნაწილს სამხატვრო აკადემიაში ვატარებ: ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობას დიდი დრო მიაქვს.

საღამოთი უფრო ხშირად ჩემი სკოლის მეგობრებთან ვარ. კარგი ბიჭები არიან თამაზ შამანაური და რაულენ სტურუა. ორივე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია. ჩემი მესამე მეგობარი, თამაზ ჭეიშვილი, ახლა საბჭოთა არმიის რიგებშია გაწვეული. სხვათა შორის, მასთან ერთად ვიღებდი ფოტოსურათებს. ერთი-ორი ფოტოსურათი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოშიც“ დაგვიბეჭდეს.

ბედნიერი ვარ იმით, რომ ვიზრდები საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობასთან ერთად, რომელსაც აქვს გარკვეული მიზანი ცხოვრებაში და ნათელი მომავლის მტკიცე რწმენა...

სამუშაო მაგიდაზე წიგნები, რვეულები და ნახაზები აწყვია. იქვე ყავისფერყდიანი ალბომი დევს. ალბომის ფურცლები სავსეა ფოტოსურათებით. ფოტოებზე აღბეჭდილია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უკვდავი ძეგლები: ჯვარის მონასტერი. სვეტიცხოველი, სიონი, გელათი, ანანური... რა ბევრს ეუბნება ქართველი კაცის სულსა და გულს ეს სახელები, როგორი სიყვარულით უშენებიათ ჩვენს წინაპრებს ტაძრები, ეკლესიები და ციხე-კოშკები... კვირა ისე არ გაივლის, რომ დათომ საკუთარი თვალით არ მოინახულოს ეს დიდებული ძეგლები, არ დატკბეს მათი ხელოვნებით... ეს მარტო ესთეტიკური ტკბობა როდია. ეს შესანიშნავი სკოლაც არის მომავალი არქიტექტორისათვის. ძველ ქართულ ჩუქურთმასა და ორნამენტს ბევრი თანამედროვე არქიტექტორისათვის მიუცია ფანტაზიის უშრეტი წყარო. ამ წყაროს წყალი თავანკარა და ხალასია, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული ყველა შემოქმედებითი ნიმუში. ამიტომაც ეწაფება მას ასე ხარბად ახალბედა არქიტექტორი — დათო ნინიკაშვილიც. ეს ძეგლები მას წარმტაც სიმფონიად ესახება. ტკბილ ქართულ იავნანად. რომლის მადლიც ადრეულ სიყმაწვილეში აკლდა და მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგემა.

უსაზღვროა ძმების სიყვარული ქართული ხელოვნების მიმართ. წარუშლელ მოგონებად დარჩა მათს ხსოვნაში ის საღამოები, როდესაც უცხოეთში ყოფნის დროს მამა მათ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავდა. ამ საოცარი წიგნის სტრიქონებში იგრძნობოდა ქართული ზღვის ღელვა, ნაკადულების ჩხრიალი, დამწიფებული პურის სურნელება, მაღალი ცის სილაჟვარდე... ამ წიგნმა შეაყვარა მათ შორეული, უცნობი სამშობლო.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ სულმოუთქმელად გადაიკითხეს დიდი ქართველი მწერლების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა ნაწარმოებები. მათს ბიბლიოთეკაში შეხვდებით თანამედროვე ქართველი მწერლების წიგნებსაც. ეს იყო ხიდი, რომელმაც ისინი მტკიცედ დააკავშირა მშობლიურ ხალხთან...

ბინდი ნელ-ნელა წვება, ოთახში შემოდის საღამო და შემოაქვს საოცარი სიმშვიდისა და სიმსუბუქის განცდა. მჭიდროდ მიხურული ფანჯრის მიღმა ბორგავს სუსხიანი ქარი.

სამუშაო მაგიდას შავგვრემანი ჭაბუკი უზის და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებს ნახაზს. ეს დათო ნინიკაშვილია. ხვალინდელი სემინარისათვის ემზადება. მოშორებით ციმციმებს ტელევიზორის ცისფერი თვალი. გადაცემას უყურებენ თედო და დედამისი. ოთახში ისმის ქართული სიმღერის ჰანგები.

ეს ჩვეულებრივი ოჯახური იდილია სასიამოვნო ფიქრებს აღგიძრავს. შვიდიოდე წლის წინათ ამ ადამიანებისათვის საქართველო მხოლოდ ოცნების საგანს შეადგენდა. დღეს კი ისინი ინაწილებენ იმ დიდ სითბოსა და სიყვარულს, რომელსაც სამშობლო თავის შვილებს უძღვნის.

შ. ჰიაბრიშვილი.

წერილი ნიუ-იორკიდან

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქციას

ათი თებერვალი (ა. წ.) ჩემთვის დღემდე არარსებული „მყოფიელების თარიღი შეიქნა — მივიღე თქვენდამი რწმუნებული გაზეთის მესამე ნომერი, სადაც სხვა საგულისხმო ცნობათა შორის აღმოჩნდა ჩემი ლექსიც — „საღამო ნიუ-იორკის ქუჩებში“.

პირველად ვხედავ ბეჭდვითი სახით საკუთარი სულიერი ტკივილების ერთ მონაკვეთს...

ამრიგად, კიდევ ვხედავ მოგაწოდოთ საკუთარი განცდის ერთი ნაწყვეტი — „გაზაფხულს“, რომლის სიუხვე არ მცილდება ამიერიდან!

მწამს, რომ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება არა კრავს წიხლს ღარიბ პოეტს, მაგრამ მშობლიურს, მოხეტიალეს და მიუსაფარს. თქვენც ხომ მიუსაფართათვის იღვწით?

გთხოვთ არ ჩამომართვათ ეს უკანასკნელი სიტყვები უკადრისად, ვინაიდან მე ამ გაზეთით ვსაზრდოობ საკმარისად ხანგრძლივი დროიდან, იყოს მოწმე მართებულება!...

მე პირადად დიდ მადლობას გწირავთ, რომ დედის რძეს თეთრ ქაღალდზე აწყობილს გვთავაზობთ.

ო. ონტოფელი,

ნიუ-იორკი, 12 მარტი, 1968 წ.

გაზაფხულს

გაზაფხულო, რომ დაგტოვე ფერდებმაღალ მთებზე,
სადაც წიწვნარს ასხურებდი ცვარის კრიალოსანს,
ნეტავ კიდევ თუ ჩაუვლი ბაღებს შარა გზებზე,
ნეტავ კიდევ თუ მზე თბილად არე-მარეს მოსავს?

დაგეძებ და ვერსად გპოვე გალმა-გალმის იქით,
მაგრამ გწამდეს მოგონების არტახებში ვსუნთქავ,
ხეტიალში მომაწოდეს საწამლავი ჭიქით,
თუ ვერ გნახე დიდი ხანი, მაპატიე, ტურფავ.

თვრამეტამდე გაზაფხულმა სხვა მხარეში მცადა,
მაგრამ ვერსად მიგემია, რასაც ოდეს მგვრიდი, —
უფერული თვეებია, მოღუშული ცა და
არც მერცხალი, არც ბულბული, არც შაშვი და გვრიტი...

ნესტიანი დღეებია, შავი ლაქა მზეზე,
შუნჯი დროის სცენებიდან ვერსად ნახავ ამგვარს,
მაგონდება ცადაწვდილი და თავქოჩორა ხეზე
მოლაღური რომ არწევდა ტოტზე გაბმულ აკვანს...

ჰო, დაგეძებ, ვერსად გპოვე გალმა-გალმის იქით,
მაგრამ გწამდეს მოგონების არტახებში ვსუნთქავ,
ხეტიალში მომაწოდეს საწამლავი ჭიქით,
თუ ვერ გნახე დიდი ხანი, მაპატიე, ტურფავ.

ი. ონტოფელი,

ნიუ-იორკი, 7 აპრილი, 1960 წ.

ზღვა მთებში

ეძვსკილომეტრიანი მილსადენი, რომლის პირველი რიგი დაგებულია ქართლის ველზე, შექმნის საქართველოს ახალ წყალსაცავს. რესპუბლიკის უძველესი ტრიფონის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან წყალი ზამთრის თვეებში წავა მილსადენით მთაში, ნადარბაზევის ტბისაკენ. ტბის დონე 16 მეტრით აიწევს, ხოლო მარგი მოცულობა გაიზრდება 30 მილიონი კუბური მეტრით.

„წყალმშენის“ ტრესტის მეექვსე სამშენებლო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა გ. კვსანაშვილმა ჩვენს კორესპონდენტს აცნობა:

— ხელოვნური ზღვა იქნება რეზერვუარი, რომელიც გვალვის დროს წყლით უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 3800 ჰექტარ სავარგულებს ქართლის ველის სოფლებში. მაგრამ ტრიფონის სარწყავი სისტემის წყალს მინდვრები გაცილებით უფრო ადრე მიიღებენ, ვიდრე დაიწყება ტბის ავსება. მძლავრი სატუმბავი სადგური, სადაც მთავრდება დახადგარების მონტაჟი, წყალს მილსადენით მიაწვდის განმანაწილებელ არხებს. სარწყავი ქსელი დაპროექტებულია დახურული სისტემით. მისი სიგრძე 46 კილომეტრია.

მთავარმა ინჟინერმა თქვა, რომ მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მუშაობას ეწევა თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული 150 მილიორატორი. უბნის უფროსის ვ. ბაბილუას მეთაურობით. ნოემბრისათვის დაიწყება ტბის ავსება.

ნადარბაზევის „ზღვის“ თვალწარმტაცი ხედები გადაიქცევა აგრეთვე მშრომელთა დასვენების ზონად.

ომის ქარცეცხლში შობილი

ქართველი ექიმი — გამომგონებელი

არა კლინიკაში, არამედ დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველზე დაიწყო ადამიანის სიცოცხლისათვის ბრძოლა ახალგაზრდა ექიმმა მიხეილ ახალაიამ. ერთ-ერთი მედიკურ-სანიტარული ბატალიონის ორდინატორმა, ხოლო შემდეგ წამყვანმა ქირურგმა განვლო გზა მოსკოვიდან ბერლინამდე.

საველე ჰოსპიტლებში მუშაობის მძიმე პირობებში გამოვლინდა ახალგაზრდა ნოვატორი ექიმის ნიჭი. 1942 წელს მან შექმნა აპარატი სისხლის წვეთობრივი გადასხმისათვის, რამაც ათასობით საბჭოთა მეომარს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ამ გამოგონებისათვის მიხეილ ახალაია დაჯილდოვეს მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“. ეს პირველ საბრძოლო ნათლობასავით იყო გამომგონებელი ექიმის გზაზე.

დამთავრდა ომი და მიხეილ ახალაია უბრუნდება მშვიდობიან შრომას, ხელმძღვანელობს მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის ფაკულტეტური ქირურგიის კათედრის კლინიკურ-ექსპერიმენტულ ლაბორატორიას. მის წინაშე გადაიშალა საგამომგონებლო მუშაობის ფართო ასპარეზი, ექიმი იწყებს ამპუტირებული კიდურის ხელახლა მიხორცების საკითხის შესწავლას. ამ რთული ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტის ძიებამ გააერთიანა იგი ინჟინერთა ჯგუფთან. ოთხ წელზე მეტს მუშაობდა ეს შემოქმედებითი ჯგუფი სისხლძარღვებისა და ნერვების შესაკერი აპარატის შესაქმნელად. 1950 წელს ეს შრომა წარმატებით დამთავრდა. ორიგინალური კონსტრუქციის აპარატმა მტკიცე ადგილი დაიკავა სამედიცინო პრაქტიკაში და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მის შემქმნელებს, მათ შორის მიხეილ ახალაიას, მიენიჭათ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.

მექანიკური ნაკერის მეთოდიკის შემდგომი დამუშავება გაგრძელდა უკვე სოხუმში, ექიმის სამშობლოში. 1951 წელს მ. ახალაიამ გამოაქვეყნა შრომა მოჭრილი კიდურის გვიანი უკანშეხორცების საკითხის შესახებ. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ მან პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ შესაძლებელია საყლაპავი მილის შეერთება სქელ და წვრილ ნაწლავთან, შეიმუშავა მეთოდიკა ასეთი შეერთების მექანიკური ნაკერის საშუალებით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით ამ ხერხს მიენიჭა ავტორის სახელი. მალე ცნობილი გახდა ქირურგის კიდევ ერთი გამოგონება — სისხლძარღვების, შარდსაწვეთებისა და ფალოპის მილების შესაკერი მოწყობილობა. ეს საინტერესო ნამუშევარი იყო მ. ახალაიას მოხსენების თემა ქირურგთა საერთაშორისო კონგრესზე მიუნხენში.

ექვს წელს მუშაობდა ექსპერიმენტატორი, რომ შეექმნა კუჭის რეზექციის ორიგინალური მეთოდიკა. ამის შედეგად მიღებულია კუჭის კიბოს, წყლულის მკურნალობის უფრო ეფექტიანი ხერხები, უზრუნველყოფილია ნაკერების დიდი სიმკვიდრე და თერმულობა, თანაც ოპერაციის დრო 2-3 საათიდან ორმოც წუთამდე მცირდება.

თ. ჯიბუტი.

მეგობრული კონტაქტები

ქართველ და გულგარელ კურორტოლოგთა მეცნიერული კავშირი

მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ბულგარეთის კურორტოლოგიის ინსტიტუტთან.

ამას წინათ თბილისში იყვნენ ბულგარეთის კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ე. ივანოვა და ინსტიტუტის სწავლული მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ს. მიხაილოვი. ბულგარელი მეცნიერები საქართველოში ჩამოვიდნენ, რათა შეეჯამებინათ იმ მეცნიერული კვლევის პირველი ეტაპის შედეგები, რომელსაც საბჭოთა კურორტოლოგებთან ერთად ასრულებენ. უკვე ორი წელია ორი ქვეყნის მეცნიერები იკვლევენ საშუალო მთიანეთის ჰავის სამკურნალო თვისებებს ჰიპერტონიული დაავადების მკურნალობის დროს.

ბულგარელმა და ქართველმა კურორტოლოგებმა გადაწყვიტეს ერთად შეისწავლონ გულ-სისხლძარღვების ზოგიერთი დაავადების მკურნალობა ბუნებრივი და ხელოვნური როდონის აბაზანების დახმარებით თბილისში, წყალ-სამკურნალო ტუბოში და ბულგარეთის ზოგიერთ კურორტზე.

— ამ ბოლო დროს კურორტოლოგები დიდ ყურადღებას აქცევენ დაავადებათა მკურნალობას უყელაზე ადრეულ სტადიაში, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ვ. წითლანაძემ. მაგალითად, გვირგვინოვანი სისხლძარღვების სკლეროზის მკურნალობის პრობლემის დიდი მნიშვნელობისა და სხვა მკურნალობის ჯერ კიდევ მცირე ეფექტიანობის გამო საჭირო ხდება ვეძებოთ თერაპიის ახალი საშუალებები, კერძოდ, სანატორიულ-საკურორტო პირობებში.

საქმე ის არის, რომ კლინიცისტთა და კურორტოლოგთა შორის არ არის ერთიანი აზრი ქრონიკული გვირგვინოვანი ნაკლოვანების ბალნეოლოგიური მკურნალობის შესახებ. ამიტომ როგორც ბულგარელ მეცნიერებს, ისე ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ აწარმოონ დაკვირვება ამ დაავადების როდონული აბაზანებით მკურნალობის ეფექტიანობის შესადარებლად.

ვანო ურჯუმელაშვილი

მღუხრის ჟამს

მოთხრობა

5.

ჩემს ქალიშვილს გაუგია, რომ ქართველი ხარ, და იმას გამოუგზავნია. ძალიან სდომებია შენი ნახვა, მაგრამ რა ქნას, აქაური წესით არ შეუძლია უცხო სტუმართან სუფრაზე შეხვედრაო, მითხრა კმაყოფილი ღიმილით მოხუცმა.

ცხვრის მწვადები შემოგვიტანეს. მერე სუკები მოაყოლეს. ერთიც და მეორეც შამფურზე იყო შემწვარი და ზედ ხახვი დაეჭრათ, არც ტყემალი დავიწყებოდათ.

ნელნელა შევეკეთეთ ღვინოს. გარდასულ დღეთა გახსენებით თვალებგაცისკროვნებული მასპინძელი კი მიყვებოდა თავისი ცხოვრების ამბავს:

მე დავიბადე რაჭაში, სოფელ ჭელიაღელეში. ერთი მოქცევა სახნავ-სათესი და ხარის ენის ტოლა ვენახი გვქონდა. მამაჩემი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ რამენაირად გამოეკვება წვრილშვილი.

ეჰ, რა შეედრება სიყმაწვილეს?! ძვირფას განუმეორებელ გაზაფხულს სიცოცხლისას! ადამიანი მხოლოდ მაშინ არის უდარდელი, მხიარული, სვებედნიერი!

რვა წლის ბიჭი გახლდით, სოფელში ყველაფერი რომ მივყიდ-მოვყიდეთ და საცხოვრებლად ქუთაისში გადავსახლდით.

ოროთახიანი სახლი ვიყიდეთ თეთრ ხიდთან. მამაჩემი მზარეულად მუშაობდა „ერემოს დუქანში“.

კარგად იყო თუ ავად, ვცხოვრობდით, არც თუ ისე ხელგაშლილად, მაგრამ ტკბილად და უდარდელად. ოცი წლის შეღერებული ბიჭი იყო ჩემი უფროსი ძმა, რომ ქალი დანიშნა, ჭორწილს საახალწლოდ აპირებდა. მაგრამ დახე წუთისოფლის ბედშაობას: ჩემს ძმას სამხედრო ბეგარამ მოუწია, კენჭი

დასასრული. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 6.

6.

ერგო და სალდათად გაიწვიეს. მამაჩემი დარდისაგან კინაღამ ჭკუაზე შეიშალა, ჩემს ძმას კი დანა პირს არ უხსნიდა, ზეზეულად ჩამოხმა, დაინავლა.

ეჰ, მართლაც ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ორი კვირის დანიშნული ქალი ოხრად რჩებოდა. მერე რა ქალი, მთელი უბნის მშვენება.

მეც დავდარდიანდი, არ ვიცოდი, რა მეღონა, როგორ დავხმარებოდი განაცდელში მყოფ ძმას. ბევრი ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს გულში ვთქვი: რაც იქნება, იქნება, მე წვავალ ძმის მაგივრად ჯარში, იმას კი ბედნიერებას არ მოვუშლი-მეთქი...

...სამხედრო ბეგარას ჯერ ქალაქ პერმში ვიხდიდი. ხეირიანად შაშხანის სროლაც არ მესწავლა, რომ პორტარტურში გამამწესეს.

ჩემი სალდათური ცხოვრების მოყოლით თავს არ შეგაწყენ. ოფიცერი ხარ და ალბათ გეცოდინება, რა არის ქვეითთა პოლკში რიგითის სამსახური.

კარგად იყო თუ ავად, ოთხი წელი გავატარე პორტარტურში. უკვე შინ წასვლაზე ვოცნებობდი, დღეებს ვთვლიდი, თვეებს ვანგარიშობდი, რომ იაპონიის ფლოტი მოულოდნელად თავს დაესხა ციხე-ქალაქს!

არც პორტარტურში გაჩაღებულ მრისხანე ბრძოლებზე შევჩერდები. მხოლოდ იმას გეტყვი, ციხე-ქალაქი დაეცა, მაგრამ არ დაცემულა რუსი ჯარისკაცის სული. ჩემს ტანზე დამჩნეული ჭრილობები მრისხანე ბრძოლებსა და მძიმე დღეებს მაგონებს. დღესაც მეამაყება, რუსეთისათვის რომ ვიბრძოდი, სისხლს ვღვრიდი, სიცოცხლებს ვწირავდი!

პორტარტურის დაცემის დღეს „ოქროს გორაზე“ ეკავა ჩვენს ბატარიას პოზიცია. უთენია ზღვის მხრიდან შემოგვიტია გუგუნი შემოგვესმა, კვამლისა და მტვრის მთები აღიმართა. უცებ ვერც კი გავიგე, რა დამემართა, ჰაერში უთვალავი ცეცხლოვანი ბურთულები ათამაშდნენ და ქვეყანა წყვდიადმა შთანთქა.

იაპონელებმა „ოქროს მთაზე“ დაცემულ რუსი მეომრების გვამებს რომ ასაფლავებდნენ, თურმე მეც მკვდრად ჩამთვალეს და ძმათა საფლავში მმარხავდნენ, მაგრამ ბედზე დამიკვნესია. მაშინვე ლაზარეთში გავუქანებივართ. თურმე სასწრაფოდ ყუმბარის ნამსხვრევით დაფლეთილი ფილტვი გამიკერეს და მუხლის ქვეით მოწყვეტილი ფეხი მომაჭრეს.

ოთხ თვეზე მეტხანს საწოლზე გახლდით მიჯაჭვული.

როგორც იქნა, განვიკურნე, მოვმკობინდი, ძალღონე მოვიკრიბე. გაზაფხული დადგა. ცხრათვალა მზე და აყვავებული დედამიწა ერთმანეთს უცინოდნენ, ეალერსებოდნენ.

ოთახში ჯდომა მიმძიმდა, გული გარეთ მიმიწევდა. ჯოხებზე დაყრდნობილი საავადმყოფოს წინ პატარა ბაღჩაში გავედი. სიმის მომგვრელმა თბილმა ნიავმა დამკრა. ჯოხებზე მხრებდაბჯენილი მივაბიჯებდი გამოკვირტულ ხეხილის ხეივანში. თან „სულიკოს“ ვღიღინებდი და გაფურჩქვნილ ყვავილებს ლოყით ვეფერებოდი.

ვაშლის ქვეშ უცებ თავზე წავადექი მოლზე ჩაცუცქულ ქალიშვილს, გატაცებით რომ ეთამაშებოდა კატის კნუტს. მე რომ დამინახა, ხმამაღლა შესძახა, ოიო, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, არ გაიქცა, როგორც საერთოდ

7.

იქცევიან ახალგაზრდა კაცის დანახვისას იაპონელი ქალიშვილები და წყაროსავით კრიალა თვალებით მოურიდებლად შემომხედა.

შევცქეროდი ტანწერწეტა, გიშრისთმიან, ყელუარყარა, ცქრიალა ქალიშვილს და ჩემს თავს ვეკითხებოდი, თვალი ხომ არ მატყუებს-მეთქი.

ისე მეჩვენებოდა, იგი ქართველი ქალის თვალებით მიცქერდა. ირგვლივ თითქოს ყველაფერმა სახე იცვალა, გაბრწყინდა, აელვარდა. ჩემს წინაშე რაღაც ზღაპრული სამყარო გადაიშალა, რაც უჩვეულო სიხარულსა და ნეტარებას მპირდებოდა.

ქალმა მოწუალებით, თანაგრძნობით გამიღიმა. მერე მორცხვად თავი დახარა და ხის ჭიშკების ბაკაბუკით შინისაკენ გაიქცა.

მეორე დღეს ზუსტად იმავე დროს გავედი ბაღში. რატომღაც დაბეჯითებით თავს ვირწმუნებდი, რომ ვითომ მე და ის უსიტყვოდ, გუმანით შევთანხმდით, რომ იმავე ალაგას, იმავე დროს ერთმანეთს შევხვდებოდით.

„თუ დღესაც ვაშლის ქვეშ დამხვდა, მაშასადამე, არც ის არის ჩემდამი გულგრილი“, — გულში ვფიქრობდი და ნელა ვუახლოვდებოდი საოცნებო ალაგს.

ფრთხილად გადავწიე ბუჩქის ტოტები და კინაღამ თვალთ დამიბნელდა. გოგონა ვაშლის კუნძზე იჯდა და ბილიკისაკენ გაფაციცებით იხედებოდა. თვალი რომ შემასწრო, ფეხზე წამოხტა და ალერსიანად გამიღიმა, რამაც უტკბილესი ნეტარება მომგვარა.

ერთხანს დაბნეული შევცქეროდი, მერე კი მივესალმე. გუშინდელივით გამიღიმა და მორცხვად თავი დახარა. მისი ღიმილი მაცდური, ყინაშშლელი, ამაფორიაქებელი იყო.

თერიკო ჭირურგის ქალიშვილი გამოდგა. პირველ დღესვე ვუნახივარ დაჭრილი, ცოცხალ-მკვდარი ვყოფილვარ, არავის ჰჭონია იმედი ჩემი გადარჩენისა. მაშინვე განვიმსჭვალე შენდამი მოწიწებითა და თანაგრძნობით. გონებადაკარგული რომ იყავი, მამაჩემის მალულად ყოველდღე გნახულობდი, ბანანის ფოთლებით სახეს გიგრილებდიო.

ეს ჩითრა ქალი ჩემში უმწიკვლო ვნებას ბადებდა. ნუშისებრივ ნახევრადბავშვური თვალებით მწველ გრძნობათა ალში მხვევდა, ნებისყოფას მიდუნებდა. ვით მოწყურებული ირემი წყალს, ისე ვეტანებოდი, გვერდიდან არც ის მცილდებოდა, თან აღარც ფრთხილობდა, აღარც არავისი ერიდებოდა.

მიუხედავად ამისა, წარმოუდგენელ რამედ მომაჩნდა ჩემნაირი კაცის სიყვარული. მე ხომ მისთვის გადამთიელი, უთვისტომო, სხვა გორისა ვიყავი, ამასთან უსახლკარო, უსახსრო, ხეიბარი, ჭრილობებით დასახიჩრებული, გაძვალტყავებული. ის კი ჩემზე თითქმის ათი წლით უმცროსი იყო.

თერიკო ჩემს ეშვებზე ორივე ხელს ასავსავებდა, არა, შენ გარდა სხვა არავინ მინდა, შენ ხარ ჩემი პირველი სიყვარული. უშენოდ ერთ დღესაც არ ვიცოცხლებ, თავს მოვიკლავო. ეჰ, სიყვარულო, სიყვარულო, რა მომხიბლავი, რა უძლეველი რამა ხარ!..

რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და თერიკო ისე შევეჩვიეთ, შევეწყეთ, რომ უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით. ღამით მალულად ბაღჩაში ჩავიდოდით,

8.

ბუჩქებში მივიმალებოდით და გათენებამდე ვისხედით.

მანჯურიიდან ჩვენი ჯარი დიდიხნის წასული იყო. არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი! თერიკო მეცოდებოდა, ასეთ მდგომარეობაში როგორ მივატოვო, ვაი თუ, თავის თავს რაიმე აუტეხოს-მეთქი. რათ უნდა გავუმწარო ახალგაზრდა ადამიანს სიცოცხლე? მის სიცოცხლეში ხომ სხვა ადამიანის სიცოცხლე არის. სხვა ადამიანისა კი არა, იგივე ჩემი სიცოცხლეა, ჩემი სისხლი და ხორცია! თან გული იმაზეც მეთანაღრებოდა, ხეიბარი და დაჩაჩანაკებული როგორღა ჩავიდე საქართველოში, ვიღას რაღად ვენდომები-მეთქი.

როცა ჩვენი საყვარულის დაფარვა შეუძლებელი გახდა, მე და თერიკო შევუღლდით. იმავე წელს შეგვეძინა ქალიშვილი, მესამე წელს მეორეც გაგვიჩნდა.

ხელობა არაფერი მჭონდა, არც სწავლა-განათლებით გამოვირჩეოდი, ამიტომ სიმამრის დახმარებით ჯერ სირჯხანა გავაღე. ხუთ წელიწადში ფული დავაგროვე, ეს შენობა ავაშენე, დაბლა სართულზე რესტორანი გავხსენი, მეორე სართულზე კი ჩვენ ვცხოვრობთ. ჩემმა მსახურმა მითხრა, რუსი ოფიცერი, რესტორნის კედლებზე დახატულ სურათებს ათვალიერებდაო. ეს სურათები ათი წლის წინ იაპონელ მხატვარს დავახატვინე! ადრეც მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ ვერ ვიშოვნე. ბოლოს პარიზში მივწერე ბუკინისტების მაღაზიას და იმათ გამომიგზავნეს ქართულად ზიჩისეული სურათებით.

ბედმა ურიგო მეულღე არ მარგუნა, თითით საჩვენებელი ქალიშვილები გამიზარდა. ერთი ექიმზეა გათხოვილი, ექვსი შვილის დედაა. მეორე ქალიშვილის ქმარი მასწავლებელია. ახლა ქმარშვილით ჩემთან არის.

დიდი შეძლების პატრონი ვარ, ფუფუნებით ვცხოვრობ, ღრმა მოხუცებულობამდე მოვაღწიე, შვილიშვილებით ვხარობ, მაგრამ მაინც უბედური ვარ.


ჩემი მეუღლე იაპონელია, ქალიშვილებიც იაპონური წესებით გაიზარდნენ, შვილიშვილებიც, მე კი ქართული მიწის ნამცეცი ვარ. იქ, საქართველოში არის ჩემი სანუკვარი კერა, იქ ბუდობენ ჩემიანები, იქ არის ჩემი მამა-პაპათა საფლავები, ძვალთ შესალაგი.

ადრე მეგონა, დრო კიდევ მჭონდა, როგორმე შევძლებდი საქართველოში დაბრუნებას, ვნახავდი ჩემს მახლობლებს, მაგრამ ვაგლახ, რომ სიბერე ქოფაკი ძაღლივით წამომეპარა! უკან რომ ვიხედები, მთელი ჩემი ცხოვრება სიზმარი მგონია, მძიმე, უკვალოდ მიმავალი სიზმარი. ნუთუ სიკვდილის წინ ვერ უნდა ვეღირსო საქართველოში ჩამოსვლას, ვერ გამოვეთხოვო მშობლიურ მიწას! ნუთუ იქ არ დავიმარხები, საცა განისვენებენ ჩემი მამა-პაპანი, საცა ჩაიფშვნენ, ჩაიშალნენ მათი ძვლები, მერე კი ყვავილებად აღმოცენდნენ, ბუჩქებად ამოვიდნენ, ხეებად იქცნენ?!

ჩემო ძვირფასო სტუმარო, ეს ომი რომ დამთავრდება და საქართველოში დაბრუნდები, თუ რაჭაში ან ქუთაისში მოხვდე, დალიე თავის მიწას, თავის კუთხეს მოწყვეტილ თანამემამულეთა სადღეგრძელო, და მაშინ ორიოდე კეთილი სიტყვით მეც გამიხსენე!

ექვსი წლის... კომპოზიტორი







გოგონა მხოლოდ ექვსი თვის იყო, დიახ, ექვსი თვის, ეს შეცდომა არაა, როდესაც მან გაიმეორა თავის ძმის მიერ ფორტეპიანოზე შესრულებული მელოდია. უფროსებმა არ დაიჯერეს, ეგონათ, რომ მოესმათ. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ იგივე გამეორდა, და ასე მრავალჯერ. ეს გოგონა პატარა ნანა გაბაშვილი იყო.

იგი ჯერ კიდევ ორი წლის იყო, როცა დამოუკიდებლად დაიწყო ფორტეპიანოზე დაკვრა ორი ხელით. უკრავდა, რასაკვირველია უნოტოდ, ნაწარმოებებს, რომლებიც არასდროს არ სმენია. ამ ასაკში გოგონას უკვე ჰქონდა საკუთარი ნაწარმოებები, პატარა პიესები „ბურატინო“, „ბავშვების ცეკვა“, „ნაძვის ხე“ და სხვ.

ერთი წლის შემდეგ ნანას დაკვრა მოისმინეს კომპოზიტორებმა, თბილისის კონსერვატორიის პროფესორებმა. მათ ერთხმად აღიარეს ნორჩი კომპოზიტორის ბრწყინვალე ნიჭი. აი რას წერს მასზე მუსიკისმცოდნე პროფესორი პ. ხუჭუა: „ნანა გაბაშვილი — დიდი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვია. ვუსურვოთ მას ბრწყინვალე წარმატებები მის მომავალ სწავლასა და შემოქმედებაში“. ხოლო კომპოზიტორი მერი დავითაშვილი წერს: „ნანას მე სამი წლიდან ვიცნობ, საკვირველი ნიჭი ამ პაწაწინტელა გოგონასი განცვიფრებას იწვევდა ჩემში. მას თავი სავსე აქვს მელოდიებით და გაუთავებლად შეუძლია შეთხზას საფორტეპიანო ნაწარმოებები, პიესები... ბავშვს ახასიათებს საოცრად ლოღიკური აზროვნება... ნანა თხზავს უჩვეულოდ იოლად. საკმარისია მისცე თემა, რომ მას უკვე მზად აქვს მელოდია... მე მწამს ნანას ნიჭისა და ვფიქრობ, რომ მისგან კარგი კომპოზიტორი დადგება“.

ახლა ნანა ექვსი წლისაა. იგი 100 მუსიკალური ნაწარმოების ავტორია. ახლახან ნანას ეწვივნენ ინგლისელი მუსიკოსები, შემდეგ კი ჩეხები, რომლებმაც მასზე ფერადი დოკუმენტური ფილმი შექმნეს. ამჟამად ნანა ცენტრალური მუსიკალური ათწლედის პირველი კლასის მოსწავლეა.

• • •

სურათებზე: კომპოზიტორი მერი დავითაშვილი და ნანა ნორჩი კომპოზიტორის ახალ ნაწარმოებს არჩევენ;

ძმის აკომპანემენტის თანხლებით;

ალბათ ამ დედოფალს უყურებდა ნანა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, როდესაც თავისი პიესა „თოჯინების ცეკვა“ შეთხზა.

მცენარე — მკურნალი

აფხაზეთის მზიური ცის ქვეშ იზრდება სამი ათასზე მეტი სახეობის მარადმწვანე მცენარე. მათგან დაახლოებით ორი ათასი ადგილობრივია, ხოლო ათასზე მეტი სახეობა შემოტანილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სამხრეთის ზღვისგალმა ეგზოტებიდან ბევრია ისეთებიც, რომლებსაც იყენებენ სამედიცინო პრეპარატების წარმოებაში.

უკანასკნელ წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სამკურნალწამლო მცენარე აგავა. სახეუალებრივ მცენარეს უწოდებს მას ხალხი. იგი კურნავს რევმატულ დაავადებებს, რადიკულიტს. მისი ფოთლებიდან ამზადებენ სპირტის ნაყენს დასაზელად.

აგავა მცენარეთა გვაროვნული სახელწოდებაა, რომელიც აერთიანებს მრავალ სახეობას. გარეულ აგავას შეხვდებით მექსიკაში და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში. აფხაზეთში იზრდება ძირითადად აგავები, რომლებიც ქმნიან ცოცხისებრ თანაყვავილედს. მათ რიცხვს ეკუთვნის ამერიკული სალმიანა, ატროვირენსი და სხვები, რომლებიც აქ შემოზიდეს როგორც ბოჭკოვანი მცენარეები და ფართოდ იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში. სოხუმის ბოტანიკური ბაღის მუშაკებმა შეისწავლეს მათი ბიოლოგიური თავისებურებანი, გამრავლების ხერხები. ახლა ბაღში შეგროვებულია 14 სახეობის აგავების კოლექცია.

ბოტანიკოსებმა და მედიკებმა გაითვალისწინეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი რადიკალურ საშუალებებზე რევმატული დაავადებებისა და რადიკულიტის წინააღმდეგ და ახლა იკვლევენ აგავას სამკურნალო სახეობათა გამოვლინების მიზნით. ფოთლების სრული სიმწიფის ასაკის დადგენის შემდეგ ისინი ამუშავებენ პრეპარატების მიღების ტექნოლოგიას, აგრეთვე მათი გამოყენების ხერხებს.

„ბრემი“ მოელის სტუმრებს

თბილისში ჯორჯაძის ქუჩაზე, სასტუმრო „ინტურისტთან“, გაიხსნა რესტორან-სარდაფი „ბრემი“, რომლის ვესტიბიულის კედლები ქვით არის მოპირკეთებული.

რესტორანში ორი დარბაზია. პირველი მოგვაგონებს მარანს. ერთ-ერთ კედელთან დგას ორი ვეებერთელა ღვინის კასრი. შუაში კერაა, რომელზეც მწვადს შესწვავენ. ძველი ქართული სტილის ხის მაგიდები და სკამები განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევენ დარბაზს.

მეორე დარბაზი მოგვაგონებს სოფლის ეზოს. გარშემო აივნებია, სადაც დგას მაგიდები.

თვითეულ მაგიდასთან კედელში დატანებულია მაყალი. სტუმარს შეუძლია საკუთარი ხელით შეიწვას მწვადი.

რესტორანის სამზარეულოში ქართული კერძების ჩინებული მცოდნეა ზ. ქურციკიძე.

ჩვენ გვაქვს სიურპრიზები ჩამოსულთათვის, — ამბობს სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მმართველი დ. ჩიბურდანიძე. — ეს არის მენიუ-სუვენირი, რომელშიც გახსნილია ქართული სამზარეულოს ზოგიერთი „საიდუმლოება“. ასეთ სუვენირს სამახსოვროდ მიიღებენ საქართველოს დედაქალაქის სტუმრები, რომლებიც რესტორანს ეწვევიან.



...გზა, მიცვეულ-მოცვეული.

საფეხბურთო ჩემპიონატის სტარტზე

სპორტული მიმოხილვა

ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატი თანდათან ძალას იკრებს. უკვე ხუთ-ხუთი მატჩი გამართეს მეტოქეებმა და, როგორც იტყვიან, ყველაფერი თავის ადგილას დგება. ტრადიციისამებრ გუნდები, რომლებიც წლების მანძილზე ჩვეულებისამებრ ტონს აძლევენ საფეხბურთო ჩემპიონატებს, თავის ადგილებს იკავებენ ცხრილში და შემდეგ უკვე ყველაფერი დამოკიდებული ხდება ძალების განაწილების უნარზე, ფსიქოლოგიურ მომზადებაზე...

მიმდინარე ჩემპიონატი არ ჰგავს არც ერთ ჩემპიონატს. არ ჰგავს იმიტომ, რომ გუნდები თამაშობენ წამყვანი მოთამაშეების გარეშე, ეს კი განსაკუთრებით იმ კოლექტივების შედეგებზე მოქმედებს, რომლებიც საპრიზო ადგილებისათვის იბრძვიან. მიმდინარე სეზონში საბჭოთა ნაკრებს მეტად საპასუხისმგებლო მატჩები მოელის. ეს არის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩები უნგრეთთან (წარმატების შემთხვევაში ფინალური ტურნირი იტალიაში), ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩები ჩეხოსლოვაკიასთან (წარმატების შემთხვევაში ოლიმპიური ტურნირი მექსიკაში) და გარდა ამისა მრავალი საერთაშორისო შეხვედრა უმაღლეს დონეზე. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ნაკრები როგორც დამოუკიდებელი კოლექტივი ისე ემზადება.

ასეთ მდგომარეობაში არიან თბილისის დინამოელებიც. თითქმის ასეთ მდგომარეობაში იყვნენ გასულ სეზონშიც, როდესაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატი გაცილებით რთული იქნება მათთვის. სეზონისათვის „დინამო“ ემზადება ისე, რომ მის რიგებში არ იყვნენ მ. ხურცილავა, კ. ასათიანი, გ. ნოდია. დაიწყო ჩემპიონატი და ეს ფეხბურთელები გუნდში დაბრუნდნენ, ახლა კი ისინი კვლავ გაიწვიეს, თუმცა კ. ასათიანი და გ. ნოდია დროებით კლუბში დარჩნენ, რადგან ჯერ კიდევ არ არიან ფორმაში. რასაკვირველია ყველა საბჭოთა გუნდის ვალია ნაკრებს მისცეს სრულფასოვანი ფეხბურთელები. ყოველ კლუბს ღირსეულად მიაჩნია როცა მისი წარმომადგენელი საბჭოთა ნაკრებში გამოდის.

უნგრელებთან შეხვედრის წინ ჩვენმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყო თბილისელი მეშრომეს ხურცილავა, ამხანაგური შეხვედრა გამართა ბელგიის ნაკრებთან მოსკოვში. დიდი ხნის შესვენების შემდეგ (რაც ტრავმით იყო გამოწვეული) მურთაზი კვლავ დაცვის სული და გული იყო. ეს მატჩი ჩვენმა გუნდმა მოიგო — 1:0.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩემპიონატს. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ თბილისის „დინამომ“ პირველი შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან“ ფრედ — 0:0 ითამაშა, მეორე კი მოსკოვის „ლოკომოტივთან“ წააგო — 0:1 და აი მესამე მატჩი, ამჯერად გასვლითი, როსტოვში. ეს საინტერესო ორთაბრძოლა იყო და მწვრთნელის აღიარებით ჯერჯერობით საუკეთესო ამ სეზონში. პირველი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს, მაგრამ შემდეგ უპირატესობა მთლიანად დინამოელთა მხარეზე იყო და თუ მრავალი მომენტიდან მხოლოდ ორი იქნა გამოყენებული, ეს შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ. თბილისელებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში და გაიმარჯვეს 2:1. ორივე გოლი ბაბაშელმა გაიტანა. შემდეგი შეხვედრა ბრინჯაოს პრიზიორებმა თბილისში გამართეს. ქუთაისის ტორპედოს წინააღმდეგ და მეტრეველის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გაიმარჯვებაც მათ მოუტანა — 1:0.

აქვე გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ქუთაისელთა შესახებ. მართალია მათ წააგეს მატჩები კიევის „დინამოსთან“ — 0:2, მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 3:4 (ამ მატჩის მოგება თუ არა, ფრედ დამთავრებაც შეიძლებოდა), ფრედ ითამაშეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ — 0:0 და დაამარცხეს ერევნის „არარატი“ — 1:0, მაგრამ თბილისში ჩატარებულ მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

რასაკვირველია ძნელია ყოველწლიურად გამოეთხოვო რამდენიმე წამყვან მოთამაშეს (დღეისათვის თბილისის „დინამოში“ თამაშობენ ქუთაისელი ფეხბურთელები ურუშაძე, ცხოვრებოვი, ძოძუაშვილი, კუტივაძე, გ. და ლ. ნოდიები) და მაინც ქუთაისის „ტორპედო“ ისეთი გუნდია, რომელიც ყველგან უკვირთ და მის თამაშებს სიამოვნებით ესწრებიან, იმიტომ რომ გუნდი არ არის შეპყრობილი ქულების მოხვეჭის ციებ-ცხელებით, როგორც ამას უმეტესობა აკეთებს. გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, და თუ მატჩი წააგო თბილისში, იმედია, რომ შემდგომში გამოასწორებს წარუმატებელ სტარტს.

ამას წინათ შეიცვარიაში დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ტურნირი, რომელშიც საბჭოთა ახალგაზრდული ნაკრები გამოდიოდა. ჩვენმა გუნდმა წარმატებით ითამაშა და გაიმარჯვა ამ ტურნირში, თბილისიდან ნაკრებში იყვნენ მცველი ჰუხონელიძე და თავდამსხმელი ლ. ნოდია. ამ ჯგუფნაკრებთან გვიტანა ერთადერთი და გადამწყვეტი ბურთი, რომელმაც ჩვენს ნაკრებს პირველი ადგილი მოუტანა.

ყველა ტურნირის მოგება შეუძლებელია. ეს კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, როდესაც ალექსანდრე მეტრეველმა ზედიზედ სამი დიდი ტურნირი მოიგო, მეოთხეში კი დამარცხდა. აქ ფინალში წააგო იტალიელ პეტრანჯელისთან. სამაგიეროდ წყვილთა თანრიგში ა. მეტრეველი კვლავ პირველი იყო ს. ლიხაჩოვთან ერთად.

მომავალ ნომერში როგორც ჩანს კალათბურთზე ვისაუბრებთ. თბილისის „დინამო“ ცამეტი წლის შემდეგ, ალბათ კვლავ გახდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ამისათვის კი მას ძალიან ცოტა (რაოდენობით) და ძალიან დაძაბული ბრძოლები მოელის. მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, დავუცადოთ ჩემპიონატის ფინიშს.

მაშ ასე. ჩვენ გზა დავულოცეთ საფეხბურთო ჩემპიონატს და გემშვიდობებით კალათბურთს. კალათბურთს ალბათ სიამოვნებით გამოვემშვიდობებით, ფეხბურთს კი... თუმცა ფეხბურთის ჩემპიონატის ფინიშამდე ძალზე დიდი დრო რჩება.

ო. ლორთქიფანიძე.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოუსმინეთ საქართველოს

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.